



საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

ქუთაისი 4600, ირაკლი აბაშიძის გამზირი № 26
პარლამენტის სასახლე

ბრძანება

N 333/3

30/11/2017

„საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 30 ივნისის №210/3 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა სტრუქტურასა და საშტატო ნუსხაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 121-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 107-ე მუხლის „ლ“, „ჩ“, „ჰ“ ქვეპუნქტებისა და 278-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის ნიკოლოზ ნათენაძის 2017 წლის 28 ნოემბრის №19214 წარდგინების საფუძველზე:

1. „საქართველოს პარლამენტის აპარატის სტრუქტურისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2017 წლის 30 ივნისის №210/3 ბრძანებით დამტკიცებულ საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა სტრუქტურასა და საშტატო ნუსხაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-14 მუხლის:

ა.ა) მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ) წამყვანი სპეციალისტი	მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III (უფროსი სპეციალისტის დონე)	პროფესიული საჯარო მოხელე	7
-------------------------	------------------------------------	--------------------------------	--------------------------	---

ა.ბ) ბოლოს სიტყვები „სულ: 34“ შეიცვალოს სიტყვებით „სულ: 35“;

ბ) 37-ე მუხლის შემდეგ:

ბ.ა) სიტყვები „სულ: პროფესიული საჯარო მოხელე – 389;“ შეიცვალოს სიტყვებით „სულ: პროფესიული საჯარო მოხელე – 390;“;

ბ.ბ) სიტყვები „სულ: საქართველოს პარლამენტის აპარატის საშტატო ერთეულთა რაოდენობა – 703.“ შეიცვალოს სიტყვებით „სულ: საქართველოს პარლამენტის აპარატის საშტატო ერთეულთა რაოდენობა – 704.“.

2. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან 1 თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

ირაკლი კობახიძე

